

ფინანსური მენეჯმენტი

ლექტორი

დავით ხაჩიძე

კურსის დრო

12 შეხვედრა (23.5 საათი)

კურსის მიზანი

კურსი განკუთვნილია არაფინანსური განათლების მქონე საშუალო და მაღალი რგოლის მენეჯერებისათვის, საბანკო სფეროში დასაქმებულთათვის ან ნებისმიერი ადამიანისთვის, ვისაც სურს განავითაროს ბიზნესის ფინანსების ეფექტიანად მართვის, კონტროლის ან/და ანალიზის უნარი.

სასწავლო კურსის შინაარსი

ლექცია 1: ფინანსური მენეჯმენტის როლი ბიზნესში. ბიზნესის ფორმები და მათი ორი მხარე

ლექცია 2: ფულის ღირებულება დროში. ფულის მიმდინარე და მომავალი ღირებულების მნიშვნელობა და მათი გამოყენება პრაქტიკაში

ლექცია 3: ფულის ღირებულება დროში. ანუიტეტი, სესხები, დეპოზიტები. პრაქტიკული ქეისები

ლექცია 4: ძირითადი ფინანსური უწყისები. (ბალანსი და მოგება-ზარალი)

ლექცია 5: ძირითადი ფინანსური უწყისები. (ფულადი ნაკადების უწყისი) მისი მნიშვნელობა და გამოყენება პრაქტიკაში

ლექცია 6: ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები. მდგომარეობის ანალიზი, საფრთხეების და პრობლემების იდენტიფიცირება და გადაწყვეტილებების მიღება

ლექცია 7: ფინანსური ანალიზის პრაქტიკული ქეისები

ლექცია 8: ხარჯების სტრუქტურა - ნულოვანი მოგების წერტილი და საოპერაციო ლევერიჯი

ლექცია 9: წმინდა მიმდინარე ღირებულება და საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღება. ალბათობის ხე

ლექცია 10: პროექტების მომგებიანობის განსაზღვრა შიდა სარგებლიანობის განაკვეთით და მომგებიანობის ინდექსით. პრაქტიკული ქეისი

ლექცია 11: განვლილი მასალის რეზიუმე და მომზადება საბოლოო გამოცდისთვის

ლექცია 12: საბოლოო გამოცდა

სასწავლო კურსის შედეგები

კურსის მსმენელებს ეცოდინებათ და შეძლებენ:

- რა არის ფულის დღევანდელი და მომავალი ღირებულება;
- როგორ გამოითვლება მოგება და რა ფაქტორები მოქმედებს მასზე;
- განსხვავება ფინანსების მართვასა და ბუღალტრულ აღრიცხვას შორის;
- განსხვავება ფინანსურ უწყისებს შორის;
- რა არის ფინანსური ანალიზი და ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები;
- რა მნიშვნელობა აქვს მიმდინარე აქტივების და ვალდებულებების კონტროლს და სწორ მართვას;
- რა მნიშვნელობა აქვს მოზიდული სახსრების წყაროებს;
- რა არის დისკონტირება და რა ფასი აქვს კაპიტალს;
- როგორ ხდება მომგებიანი ინვესტიციების შერჩევა და გადაწყვეტილების მიღება;
- ძირითადი ფინანსური უწყისების წაკითხვა და მათი გამოყენება;
- გაყიდვების, შესყიდვების და ფულადი ნაკადების დაგეგმვა;
- სესხებზე და დეპოზიტებზე დარიცხული სარგებლის ანგარიში;

- ფულის მომავალი და ახლანდელი ღირებულების ანგარიში;
- ოპტიმალური ხარჯების სტრუქტურის დადგენა;
- ნულოვანი მოგების წერტილის დადგენა;
- კრიტიკულად მნიშვნელოვანი ფინანსური მაჩვენებლების კონტროლი;
- დაფინანსების საჭიროების დადგენა;
- მოკლევადიანი და გრძელვადიანი დაფინანსების გარჩევა და გადაწყვეტილების მიღება;
- ოპტიმალური აქტივების დადგენა და მათი მართვა;
- საინვესტიციო პროექტების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება.

ლექტორის შესახებ

- დავით ხაჩიძეს აქვს ქართული და უცხოური კომპანიების მართვის მდიდარი გამოცდილება და ამჟამად არის KTW ჯგუფის ფინანსური დირექტორი;
- ცოტა ხნის წინ კომპანია „ციტადელში“ საერთაშორისო ბიზნეს განვითარების დირექტორის პოზიციას იკავებდა;
- ასევე, იკავებდა ქართული სამშენებლო კომპანიის CMD-Fortex-ის ფინანსური და ადმინისტრაციული დირექტორის პოზიციას. 2013-2016 წლებში იყო საიუველირო კომპანია ზარაფხანას გენერალური დირექტორი;
- 2016-2018 წლებში იყო ქართულ-გერმანული სამედიცინო ცენტრის მრჩეველი, ასევე, ლიმბახის დიაგნოსტიკის ევროპული ჯგუფის აღმასრულებელი დირექტორი;
- 2019-2020 წლებში მუშაობდა ავსტრიაში, ნავთობ-პროდუქტების საერთაშორისო სავაჭრო ჰოლდინგში - United Energy Commodities GmbH გლობალური ფინანსური დირექტორის პოზიციაზე;
- დავითი ასევე არის ილიას სახ. უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი, სადაც სამაგისტრო კურსზე კითხულობს კომპანიის შეფასების და ფინანსური მენეჯმენტის ლექციებს;
- ლინკდინის პროფილი: <https://ge.linkedin.com/in/david-khachidze-mba-8635871b>